ზედამხედველობა

შპს "ეტალონი"-ს სერტიფიკაციის ორგანოს აქვს დოკუმენტურად გაფორმებული პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს ზედამხედველობის ჩატარებას სერტიფიკაციის მოცემული სისტემის შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე.

1. სერტიფიკაციის ორგანო ითხოვს მიმწოდებლისაგან, რომ მან აცნობოს პროდუქტის წარმოებაში ყველა ცვლილების შესახებ, მაგალითად, პროდუქტის, საწარმოო პროცესის ან ზოგ შემთხვევაში ხარისხის სისტემის დაგეგმილ შეცვლას, რომელიც ახდენს ზეგავლენას პროდუქტის შესაბამისობაზე. სერტიფიკაციის ორგანო განსაზღვრავს გაცხადებული ცვლილებების დამატებითი გამოკვლევის საჭიროებას.
ამ შემთხვევაში მიმწოდებელმა არ უნდა გაუშვას სარეალიზაციოდ პროდუქტი, რომელზეც აღებული აქვს სერტიფიკატი მანამ, სანამ სერტიფიკაციის ორგანო არ დაადასტურებს პროდუქტის შესაბამისობას.

2. სერტიფიკაციის ორგანო დოკუმენტურად აფორმებს თავისი საზედამ-ხედველო შედეგებს.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც შპს "ეტალონი"-ს სერტიფიკაციის ორგანო იძლევა უფლებას თავისი ნიშნის მუდმივ გამოყენებაზე პროდუქტისათვის, რომელიც იყო შეფასებული, მან პერიოდულად უნდა ჩაატაროს ნიშანდებული პროდუქტის შეფასება, რათა დაადასტუროს, რომ იგი კვლავაც შეესაბამება სტანდარტებს.

4. სერიულ წარმოებაზე გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატის მოქმედების ვადის პერიოდში (თუ ის აღემატება სამ თვეს), პროდუქტის ხარისხის სტაბილურობისთვის, სერტიფიკაციის ორგანო ახორციელებს ზედამხედველობას ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად.

- ნიმუშის აღებას და იდენტიფიცირებას;
- სერტიფცირებულ პროდუქტზე გამოცდების ჩატარებას;
- ჩატარებული გამოცდების ოქმების შედეგების ანალიზს;
- წარმოების მდგომარეობაზე კონტროლს სანიტარული უზრუნველყოფის ჩათვლით;
- შესრულებული სამუშაოებისა და დოკუმენტაციის გაფორმების სრულყოფას;
- აქტის გაფორმებას ზედამხედველობის შედეგების შესაბამისად.

ზედამხედველობის ჩატარების პერიოდულობა თანხმდება განმცხადებელთან ხელშეკრულების გაფორმებისას.

5. სერიულ წარმოებაზე შესაბამისობის სერტიფიკატი, როცა მისი მოქმედების ვადა აღემატება სამ თვეს და გაცემულია ერთი წლის ვადით, ამ შემთხვევაშიც ზედამხედველობა ტარდება განმცხადებელსა და სერტიფიკაციის ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ 6 თვეში ერთხელ. შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, სერტიფიკაციის ორგანოს შეუძლია შეაჩეროს ან გააუქმოს სერტიფიკატის მოქმედების ვადა რის შესახებაც ორი დღის განმავლობაში უნდა აცნობონ განმცხადებელს.

პრდუქციის სერტიფიკაციასთან, ზედამხედველობისა და გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს ანაზღაურებს განმცხადებელი ხელშეკრულების საფუძველზე. (დანართი: ზედამხედველობის აქტის ფორმა ხს-სო– 20790441- ფ.14 – 2025)